სამშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 13 № 146
ყოველდღიური გაზეთი (ყოველდღიური? — as printed: ყოველდღიური)
სამშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 13 № 146
ფასი 40 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია.

სა[გა]ზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში [აღნიშნ]ული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч. ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

## სია № 2

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საერობო კანდიდატებისა, ქ. ქუთაისიდან, ქუთაისის მაზრაში.**

1. **წერეთელი** ვასილი გიორგის ძე — ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, პუბლიცისტი, ექიმი, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი.
2. **ჯაფარიძე** ტრიფონ მიხეილის ძე — გაბრიელის ქალთა გიმნაზიის გამგე, პუბლიცისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე.
3. **ნაზაროვი** დიმიტრი ალექსანდრეს ძე — ექიმი, ექიმთა პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე.
4. **საყვარელიძე** ალექსანდრე სვიმონის ძე — საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ნაფიცი ვექილი.
5. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე — პუბლიცისტი, პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. **ჩიქოვანი** ილია მანუჩარის ძე — ქუთაისის სახაზინო პალატის უფროსი.
7. **ფალავანდიშვილი** ვასილ ივანეს ძე — საგუბერნიო აგრონომი.
8. **ელიგულაშვილი** აარონ იაკობის ძე — კომერსანტი.
9. **პურადიშვილი** ივანე ისააკის ძე — აზოვო-დონის კომერციული ბანკის ქუთ. განყოფილების გამგე, დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
10. **ზარათაშვილი** გრიგოლ საჩინოს ძე — ნაფიცი ვექილი.
11. **ზასილაძე** ტროფიმე ლუკას ძე — კომერსანტი.
12. **დგებუაძე** გრიგოლ მერაბის ძე — მღებავი.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდათ ან უთავდებათ დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## საყურადღებო განცხადება!

საჭიროა ერთი გაზეთის დამტარებელი და ერთიც კანტორაში მომუშავე ყმაწვილი. პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში.

## განცხადება.

**„ქართული საავტომობილო და სააქციონერო საზოგადოება“**

ეს საზოგადოება შესდგა 1918 წ. ქ. ქუთაისში.

მისი მიზან-დანიშნულებაა, მოაწყოს სრულიად საქართველოს იმ კუთხე-მხარეებში სადაც რკინის გზები და ავტომობილები არ არის საზარგო და სამგზავრო

### ავტომობილების მიმოსვლა,

რათა მძიმე აუტანელ მდგომარეობიდან იხსნას ხალხი.

საზოგადოებას ძირითადი თანხა ამ ჟამათ 300,000 მანეთამდის აღწევს. საზოგადოებამ თავისი წესდება თანახმათ გამოსცა ყველასათვის ხელმისაწდომი 500-500 მანეთიანი აქციები და მსურველს შეუძლია მისი სყიდვა-შეძენა შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი. 1) რუსის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების კანტორაში პუშკინის ქუჩა გოციელოვის სახლი კ. ქუთათელაძესთან 9—1 საათ. 2) ქუთაისის საურთიერთო ბანკის გამგეობის წევრთან პ. უზნაძესთან 9—1 საათ. 3) საწყობში ხე-ტყის ოროთქლით სახერხ ქარხანაში, ბალახვანის ქუჩა, კ. დათეშიძესთან.

**საზოგადოების უმთავრესი დამაარსებელნი:** დომენტი ოტიას ძე ბენდუქიძე, მალაქია გლახუას ძე ნატბელაძე, იაკინთე გიორგის ძე ჯებაშვილი, გიორგი ალექსანდრეს ძე ქარსიძე, გენადი გიორგის ძე ალავიძე და ვლადიმერ მალაქიას ძე ჯაფარიძე. 4—4

---

აპოლონ როსტომის ძე და მეუღლე მისი ფუცუ ზურაბის ასული მიქელაძეები და შვილები მათი: ელენე, პოლინა, ნინო, არდალიონი, ალექსანდრე ქორჟიკი და მარიკა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველნი ძვირფასის შვილისა და მეორენი საყვარელი ძმის

## მორისის

ქ. თბილისში განსვენებულის ცხედარს მოასვენებენ ქ. ქუთაისის სადგურზე, ხვალ, სამშაბათს 13 აგვისტოს (ახალი სტილით). აქედან მიცვალებული გასვენებული იქნება საფიჩხიის სასაფლაოზე; დილის $9\frac{1}{2}$ საათზე.

---

## კბილის ექიმები
**ფ. ი. ახალაძიანი და ო. დ. პროშლიაკოვა**

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს. — 2 ს. და საღამოს 5 ს. — 7 . . მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

## ექიმი
## გ. ა. ეზიკაშვილი

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თბილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). ტ.

---

## მარდუხაის პარტია.

ჩვენებურ გლეხთა და მუშათა დიდმა და, თუ გნებავთ, უდიდესმა უმრავლესობამ არც კი იცის, რომ ჩვენებურ სოციალ დემოკრატების მოძღვარი კარლ მარქსი გვარად მარდუხაი იყო. მამა მისმა უარჰყო თავის რჯული, მოინათლა და დაირქვა მარქსი...

მონათლული ებრაელისა და მთელს ქვეყნად ყველაზე მეტად განაწამებ ერის შვილმა კარლ მარქსმა შეჰქმნა შესანიშნავი მოძღვრება, ეგრედ წოდებული, „მეცნიერული სოციალიზმი“, რომლის არც ერთი დებულება არ გამართლებულა ჩვენში. არც გამართლდება, ვიდრე საქართველო და ქართველობა მონა არ იქნება, მონა მხდალი და მოტყუებული! ხოლო საქართველო დღევანდლამდე რომ მონა იყო რუსეთისა და დღეს კი კვლავ ვითომდა ემონება მარდუხაის მიმდევართ, ეს ყოველთვის ცხადია. მარდუხაის, იგივე მარქსის, მოძღვრებამ ფეხის მოკიდება დაიწყო ჩვენში ოთხმოცდა ათიან წლებში, 900—905 ში სავსებით ჩამოყალიბდა და რუსეთის დიდი აჯანყების დაწყებამდე, მთელი საქართველო თითქოს, გასოციალისტდა...

დაიწყო რუსეთის დიდი ამბოხი, მარქსიზმის ორი შვილი — ბოლშევიზმი და მენშევიზმი ერთმანეთს დაეტაკა. მაგრამ ორთავემ კისერი მოიტეხეს.

ბოლშევიზმმა და მისმა მეთაურებმა ლენინმა რუსეთი დაღუპა, მენშევიზმმა და მისმა ჩვენებურმა მეთაურმა კაკი წერეთელმა საქართველოში მოიკალათეს და დღეს ჩვენც, მგონია, დაღუპვას გვიქადიან.

მაგრამ დიდია მადლი დათესილი საქართველოს ისტორიისაგან, დიდია ღვაწლი გაწეული ჩვენ მამა პაპათაგან, დაუვიწყარია ღელვანი და განცდანი ჩვენთა ძველთა, დაუშრეტელია წყარო საქართველოს შემოქმედებისა, რომელი შემოქმედებაც გაჰქვეთა, დააკნინა და დააწვრილმანა ერთის მხრით რუსეთის ვერაგმა პოლიტიკამ, მხოლოდ მეორეს მხრით უნიადაგოდ ჩვენში გადმოტანილმა მარდუხაის, იგივე მარქსის, მოძღვრებამ ქართველი კაცი რომ ქართველი კაცისავე მგლად გადააქცია, მაგრამ რაკი საქართველო ისევ შესდგა თავის მშობლიურ გზაზე, რაკი საქართველო კიდევ დამოუკიდებლად გამოცხადდა, სავალალოთ და სამწუხაროდ ჩვენებურ მარქსისტებისა, ახლო მომავალში ქართველი ერი გამოფხიზლდება და კიდევ განაახლებს თავის მოქმედებასაც...

მართალია ოცდა ხუთი ოცდა ათი წლის განმავლობაში ამოშალეს ქართველ კაცის გულიდან მამულიშვილური გრძნობა, მართალია ამ დროის განმავლობაში ისე გააღრმავეს „კლასთა ბრძოლა“ ჩვენში, რომ „ბურჟუა“ გადაიქცა პროლეტარად და პროლეტარი ბურჟუად, მართალია მასსას, ხალხს, ქართველ ხალხს, შეაძულეს ჩვენი დიდი მწერლები და მამულიშვილები და თავი გამოუვსეს განუხორციელებელისა და წარმოუდგენელის ოცნებებით, რის მეოხებითაც „პრიკაშჩიკს“ თავისი თავი ღმერთი ჰგონია და ნაგვის მგვეოს — პროფესორი; მართალია უანბანო, უვიცი და უსულგულო ბჯღაბნელები ყველაზე უფრო გავრცელებულ გაზეთებისა (სამწუხაროდ) დღეს ქვეყნის ნამდვილ მოკეთეს მოღალატეს უწოდებენ, როცა თვითონ არიან მოღალატენიც და მატყუარანიც. (ნახეთ, თუნდ, წარსული კვირის ქუთათური „სოციალისტური“ გაზეთები); მართალია დღეს ჩვენი მშრომელი მასსა თავგზა-აბნეულია და თუთიყუშივით იმეორებს, რასაც ჩასძახიან, ვინაიდან ამ ჩაძახილის მეოხებით ბევრს უსამართლობა „სოციალიზმი და ძმობა-ერთობა“ ჰგონია, მაგრამ იმ უხილავისა და ყოველგვარ ლათაიებზე მაღლა მდგარ ჭეშმარიტების მეოხებით, რომელსაც ისტორიული სიმარ-

# დღეს.


**წერილები.**

ია ეკალაძე—მარდოხაის პარტია.

ი. იმერელი—აჯანყების გარშემო.

ფელეტონი კ. კ. კაპანელი ჭანტურაია—მარქსიზმი და დარვინიზმი.

**ცნობები.**

კავკავთან ყაზახებსა, ბოლშევიკებსა და ინგუშებს შორის ომი სწარმოებს. ვ. ჯაფარიძის დეპეში საქართველოს მთავრობისადმი. ჩვენი ჯარი ლეჩხუმისაკენ წინ მიიწევს. აიღეს ნაქერალის უღელტეხილი.


თლე ჰქვიან, ჩვენს ხალხს მალე მოსწყინდება ასეთი ყოფნა და მიმოიხედავს რა თავის გარშემო,—კვლავ ააფრიალებს ეროვნულ დროშას, დროშას ნამდვილი ერთობისას, ვინაიდან მხოლოდ ეს დროშა ავიწყებს ადამიანს კლასიურ გაუმაძღრობას და აწირვინებს პირადს-ერის მთლიანობისადმი.

დროშა „კლასთა ბრძოლისა" არის დროშა ერთიმეორისაგან მეორის ჩაყლაპვისა, დროშა ეროვნული კი არის დროშა კლასთა თანამშრომლობისა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია საზოგადოებრივობა!..

ჩვენებური მარდოხაელები იმდენად დაბრმავებულან, იმდენად გამოთაყვანებულან, რომ ამას ვერ ხედვენ და თავის პირად, კლასიურ ინტერესებით გატაცებულნი—მოღალატეებს ემახიან იმათ, ვინც მზად არის შესწიროს თავი, ცოლი, შვილი და სიცოცხლე სამშობლოს მთლიანობას, თავის ერის ისტორიულ უფლებას.

ამისთანების აუგად მოხსენება უკანასკნელი გაბრძოლებაა იმათი, ვინც აქამდე გზა კვალს ურევდა ჩვენ ხალხს, მაგრამ ხალხი იგი მალე მოსთხოვს მათ პასუხს...

ამის ნიშნები უკვე სჩანს!..

**ია ეკალაძე.**

## აჯანყების გამო.

სერიოზული და სასოწარმკვეთი მომენტი დადგა. საქართველოს ყოველ კუთხეს ამბოხების ცეცხლი ედება. მთავრობის ჯარი ერთ ადგილს რომ ჩააქრობს ანარქიას, იგი მყისვე მეორე კუთხეში იწყებს გამძინვარებას.

მთავრობას უზომო ხარჯი მოდის და ხალხიც ვიწროვდება ქვეყნის შინაურ ფრონტად გადაქცევის გამო.

ყველაზე უწინარეს საინტერესოა თუ რა ნიადაგზე აღმოცენდა დღევანდელი აჯანყება--სამწუხაროდ ამ საბედისწეროს საკითხის გარშემო მთლიანი სახელმწიფური აზრი არ შექმნილა. ანარქიის წარმოშობას ყველა თავისებურად ხსნის და ამტკიცებს.

სოციალისტურ მთავრობის პარტია მენშევიკობა ყველაფერს ბოლშევიკებს და სოციალურ საკითხის სიმწვავეს აწერს. აი, ამ საზომით ხელმძღვანელობს თვით მთავრობაც ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს შეხედულება სწორი არ არის.

ქართველი მიწის მუშები ოდნავადაც არ არიან მოწადინებული სოციალურ საკითხისთვის მთავრობის წინააღმდეგ იარაღით გამოვიდენ ან იბოლშევიკონ. ანარქიულ რაიონებში როდესაც მთავრობის ჯარი ხალხს იმორჩილებს, ხალხი დაჩოქილი აცხადებს: ჩვენ ომი არ გვინდა, სიწყნარე გვწყურია, მოგვატყუილეს, ფული მოგვცეს, იარაღი დაგვირიგეს და ძალით წინ გაგვიგდესო."

საჩხერის რაიონში ოსობა ორგანიზაციულად იყო შემოკრილი ისინი თავის მიზნის განსახორციელებლად ფულსაც ხარჯავდენ და შემდგომ როცა ხალხი მიიმხრეს, აცხადებდენ: „წინად ოსები თავისუფლად მარში სცხოვრობდენ, ხოლო შემდეგ ისინი ქართველებმა მთებში არეკეს, ახლა დადგა ჩვენი განთავისუფლების დროცაო."

ამას ერთხმად გვაუწყებს სოფ. ქალის მცხოვრებნი. საჩხერის რაიონში ოსური ხელი ტრიალებდა, რაც დღეს თუ არა მერმისთვის მაინც გამოუმზეურებელი არ დარჩება. ბოლშევიზმი ის ჯადოსნური ნიღაბია, რომელიც ნორჩ სახელმწიფოს დაღუპვას უქადის.

აჯანყებულების ისტორიაში დიდი წილი აქვთ საქართველოს გარეშე მტრებსაც.

საქართველოს თავისუფლება, არავის არ ახარებს და სცდილობენ შინაურ ანარქიის ცეცხლში ჩაფერფლონ ერის რეალი ძალა და შემდეგ მისი მონობით დასტკბენ. აქ რუსი, სომეხი თათარი და ოსი ყველა ერთად მუშაობს.

დასახელებულ უბედურებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სოციალისტურმა მთავრობამ იმ თავიდანვე ხალხში მთავრობის სახე აღმოფხვრეს თავის უვარგის სამმართველო სისტემით. კომისრების რეჟიმი ხალხს ნიკოლოზის რეჟიმზე უფრო შეზარდა. მიტინგობის და რევოლუციების ხალხს აღარაფერი სწამს. ვინც სინდისიერი იყო იგი გაბოროტებულია, ვინც ავ კაცობით ქებულია მას ხელები გამოუშვერია და დაეძებს. ასეთ მდგომარეობაში მყოფ სოფელს ადვილად აგდებს ანარქიის ცეცხლში საქართველოს მტრები. ზოგიერთები მოსთქვამენ, რომ რახან ამა თუ იმ კუთხეში სოციალისტურ პარტიას პარტიული პროპაგანდა არ გაუჩაღებია ანარქია იმიტომ დაიწყო ეს საქმის ზერელეთ და გაულუმრყვილეთ გაგებაა.

ანარქიის წისქვილი სოფლად ჩვენი მტრების დახმარებით უმთავრობამაც შექმნა. სოფლის „ამხანაგების" მმართველობამ არ გამოიდგა ხალხი ახლაც. ზარბაზნების წინაშე აიარებს, რომ მან არ იცის ვინ არის მთავრობა, რადგან მის ძალას ვერ ხედავს და თუ ხედავს ეს ძალა ყოველთვის ზოგიერთ პირებისკენ არის მიმართული და არა საყოველთაოდ. ხსენებული გარემოებებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ეროვნულმა საბჭომ. საბჭომ უნდა გაიგოს აწარმოებენ თუ არა საქართველოსთან ფარულ ნიღაბოსნურ ომს. დასთვალოს მტრები და შემდეგ შესაფერი გამოსავალი გზაც მოსძებნოს.

საქართველოს შიგნით საიდუმლო შეთქმულების სული ტრიალებს, რომელიც საზარელ სურათების გადაშლას გვპირდება დამოუკიდებელ საქართველოს ცხოვრებაში.

მთავრობა არ უნდა დაერიდოს საშუალებებს და არც უნდა იუკადრისოს მან შეთქმულების ქსელების აღმოჩენა.

საკუთარ ფეხზე დამდგარმა საქართველომ ანარქიის მოსასპობად უნდა მომართოს თავისი ნიჭი და ძალა.

**ი. იმერელი.**

# საქართველო.

## მთავრობის მოქმედება.

9 აგვისტოს სხდომაზე მთავრობამ უარჰყო რუსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა რუს ლტოლვილთა გადამყვან მეფურნეების დასაკმაყოფილებლად 1875 მან. გადადების შესახებ.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო სასანიტარო განყოფილებისთვის მთავრობამ გადასდო 200.000 მან. 10 მილიონიან ფონდიდან.

— მთავრობამ დაადგინა კავკასიის საარქეოგრაფიო საზოგადოება გაუქმდეს, ხოლო ყველა მისი აქტები და საქმეები გადაეცეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

— სასურსათო სამინისტროს დაევალა სოხუმის ოლქს მისცეს სამანუფაქტურო საქონელი.

— მთავრობამ განიხილა გრინიოვის თხოვნა, რომელსაც ოთხი წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი კერენსკის შეურაცყოფისა და დროებით მთავრობის წინააღმდეგ მოწოდებისათვის. დაადგინეს, გრინიოვი განთავისუფლებულ იქნეს იმ პირობით, რომ მან საქართველოს ტერიტორია დასტოვოს.

— ეროვნულ საბჭოს ხელოვნების კომისიის მოხსენება საქართველოს ღერბის შესახებ ფრაქციებს გადაეცა განსახილველად.

— სკოლების ეროვნულ საფუძველზე

## მარქსიზმი და დარვინიზმი.

### კრიტიკა და პარალელი.

მარქსიზმი—ისტორიულ-სოციოლოგიური მეცნებაა: კლასთა ბრძოლის პროცესი—აი მარქსიზმის აზარმაცი და სოციალიზმის შემოქმედი ძალა; მარქსის აზრით კლასთა ბრძოლა მსოფლიო ისტორიის შინაარსია: კაცობრიობის წარსული—კლასთა ბრძოლაა; მდიდრები ებრძვიან ღატაკებს და ღატაკები კი მდიდრებს; ბრძოლა წარმოებს მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ დაიწყო კულტურული ცხოვრება, მას შემდეგ, რაც დაიწყო ისტორია.

ბრძოლის პროცესში ისტორიის შინაარსი ღებულობს ორ სოციოლოგიურ მიმდინარეობას—ორ ძალას: ძალა კაპიტალიზაციის და ძალა პროლეტარიზაციის: ერთი მხრით გროვდება ქვეყნის სიმდიდრე, მეორე მხრით მრავლდება ღატაკთა, პროლეტართა რიცხვი.

ბოლოს და ბოლოს მთელი ქვეყნის სიმდიდრე შეგროვდება ერთად, მოხდება კონცენტრაცია კაპიტალის და პროლეტარები თანასწორად გაინაწილებენ ამ სიმდიდრეს,—ისე თანასწორად, რომ დაჩაგრული აღარავინ იქნება, ყველა იქნება კმაყოფილი, ყველა იქნება უზრუნველყოფილი; მშიერი და გაჭირვებული აღარავინ იქნება. სიზარმაცე და ავაზაკობა წუთისოფლად მოისპობა. რელიგია სიყვარულის და შრომის გახდება კაცობრიობის იდეალად და ცხოვრების მიზნად: ნელანხოლიის და რომანტიკას ცხოვრებაში ადგილი აღარ ექნება; გამეფდება შრომის ესტეტიკა.

ეგრედ ჩამოყალიბებულ სოციოლოგიურ თეორიას გერმანელმა მეცნიერმა და სოციოლოგმა კ. მარქსმა დაარქვა „მეცნიერული სოციალიზმი" და კაცობრიობას დაპირდა სოციალიზმის განხორციელება, თუ კი კაცობრიობა, რათქმა უნდა, ხელს შეუწყობდა კლასთა ბრძოლის გამწვავებას, კაპიტალის შეგროვებას და პროლეტარების გამრავლებას; თუ არა და მარქსის აზრით ღრმა რწმენით, ისტორიაში კლასთა ბრძოლა მაინც ოდესმე სოციალიზმით დამთავრდება. ადამიანის შემოქმედებას შეუძლია ცოტად მაინც დააჩქაროს კლასთა ბრძოლა და ხელი შეუწყო მასთან ერთად ისტორიის მსვლელობას.

მარქსმა, თუმცა თავის თეორიას დაარქვა „მეცნიერული სოციალიზმი;" თუმცა მარქსი ძლიან ცდილობდა, რომ მისი სოციოლოგიური თეორია ყოფილიყო უფრო მკვეთრი და მეცნიერული, ვიდრე უტოპიური სოციალიზმი; თუმცა მარქსი დასცინოდა უტოპისტებს იმაში, რომ უტოპისტები ეგრე დიდ ადგილს უთმობდენ რწმენას; თუმცა მარქსს ეზიზღებოდა მარტო რწმენაზე დამყარებული სოციოლოგიური თეორია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი „რკინეული ლოგიკა" უძლური შეიქნა წმინდა მეცნიერულ სოციალიზმის დასაბუთებაში და რწმენამ საპატიო ადგილი დაიკავა მარქსის სოციოლოგიასა და წინასწარმეტყველებაში.

გასაკვირალიც არ არის: თუ რწმენა არ არის, წინასწარმეტყველება ყოვლად შეუძლებელია იქ, სადაც ცხოვრების მთლიანობაზეა ლაპარაკი, იქ, სადაც ადამიანის გონება ეხება არა მარტო ცხოვრების მოვლენათა ერთ ჯგუფს, არამედ მთელს ცხოვრებას, ისტორიის და კულტურის ინტეგრალობას.

წინასწარმეტყველება შეიძლება მათემატიკის და ფიზიკის კანონების ფარგლებში და ყოვლად შეუძლებელია წინასწარმეტყველება იქ, სადაც ღელავს ცხოვრების უსაზღვროება—ონთოლოგიურ რეალობის ოკეანე.

— და მართლაც მარქსის თეორიაში არის ერთი ადგილი, სადაც მარქსიზმი ეყრდნობა მარტო რწმენას და სადაც ლოგიურად ირღვევა მთელი მარქსიზმი, სადაც „მეცნიერებული სოციალიზმის" იდეა ეწინააღმდეგება იმ იდეას, ბიოლოგიურ პრინციპს, რომელიც გამოაქვეყნა მეცხრამეტე საუკუნეში ინგლისელმა გენიოსმა და რომელის ბიოლოგიურ—ფილოსოფიური მოცულობა და აზრი გადაეკა კაცობრიობას დარვინიზმის სახელით.

დარვინიზმი—ცხოვრების და ბუნების ლოგიკის ახსნაა: ინგლისელი ბიოლოგი ჩარლზ დარვინი დიდხანს ეძებდა, თუ რა ჰქმნის ბუნების და ცხოვრების სახეებს და არსებს, თუ რა ამოძრავებს მათ. ბოლოს და ბოლოს დარვინი დარწმუნდა, რომ ბუნების სახეების და ორგანიულ-ფიზიოლოგიურ თვისებების შემომქმედი ძალაა ბრძოლა არსებობისათვის: ყოველი არსი იბრძვის, რადგან მას სწყურია სიცოცხლე; ყოველი არსი იბრძვის, რადგან ორგანიული ინსტინქტი თვითშენახვის და არსებობის თხოულობს და ეძებს ცხოვრების საშუალებას.

ბრძოლა—ცხოვრების მარადიული კანონია; ბრძოლაში ერთის გამარჯვება და მეორის დამარცხება აუცილებელია: ძლიერი იმარჯვებს, სუსტი მარცხდება. დამიანი, პირუტყვი, მცენარე, ერი, კაცობრიობა, დედა-მიწა და პლანეტები—ერთი სიტყვით მთელი კოსმოსის შემადგენლობა იჩარხება, იწვრთნება, იშლება და იბადება ბრძოლაში; ყოველი სახე ცხოვრების ბრძოლაშია გამოკვეთილი, ყოველი ფორმა არსებობის ბრძოლის შედეგია; სალი კლდეები და საზღვარ აცილებული მთები, მხეცები და ნადირები, ადამიანები და ღმერთები, იდეები და იდეალები, კლასები და ერები მხოლოდ და მხოლოდ არსებობისათვის ბრძოლაში შექმნილი ფორმები და სახეებია.

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ცხოვრების რომელიმე მომენტი ისე, რომ ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონდეს ბრძოლის და შეტაკებას, გამარჯვებას და დამარცხებას. ბრძოლის პროცესში ცხოვრების სახეები იბადებიან და ჰქრებიან, მაგრამ ცხოვრების შემადგენლობა აბსოლიუტურად მაინც ერთი და იგივეა: გამარჯვება და დამარცხება; ეგოიზმი ინდივიდუალური, კლასიური, ეროვნული—აი ბრძოლის შემომქმედი ძალები: ეგოიზმი ამოძრავებს როგორც პერსონალურ ცხოვრებას, ისე კლასს და ერს, კაცობრიობას და წუთისოფლის საერთოდ

კარლ მარქსი ამბობს, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია კლასთა ბრძოლაა, ღატაკთა და მდიდრების შეტაკებაა. ეს მცნება, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგება დარვინის ბიოლოგიურ თეორიას. მაგრამ, შემდეგ მარქსი ამბობს, რომ კლასთა ბრძოლა მოისპობა სოციალიზმის განხორციელებით: მარქსი უარჰყოფს კლასიურ ეგოიზმს, და მასთან ერთად ყოველივე ეგოიზმს, როგორც ინდივიდუალურს ისე კოლექტიურს.

მარქსი დარწმუნებულია, რომ სოციალისტურ წესწყობილებაში ეგოიზმს ადგილი არ ექნება; დარვინი დარწმუნებულია, რომ ეგოიზმი იარსებებს მანამდი სანამდი არსებობს ცხოვრება.

მოწყობის საკითხი გადაეცა განათლების მინისტრს თავისი აზრის გამოსათქმელად.

— ბონების გამოშვების განახლების გამო ადერბეიჯანის ელჩის პროტესტის შესახებ მთავრობამ აღკრძალა ადერბეიჯანში ფულის გადაგზავნა, როგორც ფოსტის ისე ბანკების საშუალებით.

— 10 მილიონიან ფონდიდან გზათა სამინისტროს განკარგულებაში 100 000 მან. გადაიდო თიანეთის მაზრის სოფ. ილდოყანში ნავთის დასამუშავებლად.

— შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა დაკმაყოფილების საკითხი სახელმწიფო კანტროლიორს, სამხედრო და შრომის მინისტრებს გადაეცათ გადასაწყვეტად.

— მთავრობამ დაადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალოს ევროპასთან სატოსტო ურთიერთობის მოწყობა.

## ეროვნულ საბჭოში.

ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი კანონ-პროექტები. იუსტიციის მინისტრისაგან—მომრიგებელ მსაჯულების შესახებ და ფინანსთა მინისტრისაგან— რათა ჯარისკაცებს შეუწყვიტონ თამბაქოს პაპიროსის და პაპიროსის ქაღალდის ძლევა.

**საფინანსო კომისიაში.**

საფინანსო კომისიის რვა აგვისტოს სხდომაზე იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა სმეტა, რომლის ძალით გადადებული უნდა იქნას იუსტიციის უწყებისათვის 9 მილ. მან. წლიურათ. სმეტა დროებითია, სანამ ცხოვრება ჩადგებოდეს ნორმალურ კალაპოტში. კომისიამ ეს საკითხი გადასდო მეორე მორიგ სხდომისთვის, რადგან იუსტიციის სამინისტროს მიერ წამოყენებული ხარჯთ-აღრიცხვა არ სცნო დასაბუთებულათ.

## გ. ჯაფარიძის დეპეში.

„კავკ. სლოვოში" დაბეჭდილია შემდეგი: „ორიზონი" ბეჭდავს დეპეშას, რომელიც საქართ. ეროვნ. საბჭოს თავმჯდომარის სახელზეა გამოგზავნილი ბაქოს დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარის ჯაფარიძისაგან: „თქვენი ცნობები" ბაქოში მყოფ ქართველების „შევიწროებულ მდგომარეობაზე ისევ მართალია, როგორც ყველა ცნობები საერთოდ ბაქოსა და კერძოთ რუსეთის საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკის შესახებ, ეს ის ცნობებია, რომლითაც ყოველ დღე შეცდომაში შეგყავთ ქართველი დემოკრატია. იცოდეთ, რომ ბაქოსა და მთლად რუსეთის საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ქართველები სარგებლობენ მოქალაქის მილიანი უფლებებით და არა ისე შევიწროებულნი როგორც ეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხდება, რომელიც გერმანია-ოსმალეთის იმპერიალისტურ ძალას ჩაუგდეთ ხელში. ჩვენ მოგაგონებთ მართლაც და იმ ქართველების შევიწროებულ მდგომარეობაზე რომელნიც ციხეებში იხრჩობიან იმიტომ რომ ისინი არ ეთანხმებიან თქვენს დამღუპველს პოლიტიკას, მე და დანარჩენი ქართველები, რომელნიც არა ვღალატობთ მუშათა კლასის საქმეს, ზიზღით ზურგს ვიბრუნებთ თქვენს უზურპატორულ მზრუნველობისაგან.

ბაქოს დეპუტატთა საბჭოთა

თავმჯდომარე **ჯაფარიძე.**

მდივანი ა. **ტერ-კარაპეტიანი.**

## უკანასკნელი ცნობა.

ეროვნულ საბჭოს შულავერიდან ქალაქის კომისარს ს. გალენიანისაგან შემდეგი დეპეში მოუვიდა:

მდგომარეობა საშიშია. შულავერი გარშემორტყმულია სამხედრო ნაწილებით. მცხოვრებნი ძლიერ აღელვებულნი არიან. მათ მოსთხოვეს 4000 ფუთი ხორბალი, რის მიცემა მცხოვრებთ არ შეუძლიათ. მოსალოდნელია არა სასურველი ექსცესები. უსიამოვნების თავიდან ასაცილებლათ გთხოვთ სასწრაფო დეპეშით შეაჩეროთ (?). ქალაქის გარშემო ტყვიისმფრქვეველებია დაწყობილი. მოემგზავრება მცხოვრებთა დელეგაცია.

## გრიგოლ ვეშაპელის შეკითხვა.

ეროვნულ საბჭოში შემოვიდა ერ.-დემოკრატ ფრაქციის შემდეგი შეკითხვა: ბორჯომის წყალის, ტყეების და სხვა სახელმწიფო ქონების უწესო ექსპლოატაციის შესახებ.

მიწათმოქმედების სამინისტროსა და სხვა უწყებათა მიერ, როგორც ამიერ კავკასიის რესპუბლიკის დროს, ისე საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, გაცემულია იჯარით ან და გაყიდულია ისეთი სახელმწიფო ქონება, როგორიც არის ტყეების მოჭრა, ბორჯომის წყალის ექსპორტი და სხვა ასეთი.

პირობები იჯარით გაცემულ ან გაყიდულ ქონებისა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ინტერესს; ეს პირობები ეწინააღმდეგება აგრეთვე სახელმწიფო ქონების შესახებ არსებულ კანონებს.

თანახმა არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თუ არა, რომ

პირველი—დაარსდეს ეროვნულ საბჭოსაგან საგანგებო კომისია, რომელიც გადახედავს ყველა წინად დადებულ ხელშეკრულობას, რათა გაუქმებულ იქნას ის პირობები რომელიც არღვევს სახელმწიფო ინტერესს.

მეორე [illegible] რომ ეროვნულმა საბჭომ აიღოს ინიციატივა ისეთი წესის დაკანონებისა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ამიერიდან სახელმწიფო ქონებისა და მამულის ექსპლოატაცია, შესაფერი ნაციონალურ და დემოკრატიულ ინტერესებისა.

ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის დავალებით თავმჯდომარის ამხანაგი გრიგოლ ვეშაპელი.

# უ ც ხ ო ე თ ი.

## ბრძოლა კავკავთან.

თერგის ოლქიდან ჩამოსულ პირთა გადმოცემით კავკავთან ყაზახებსა, ბოლშევიკებსა და ინგუშებს შორის დიდი ბრძოლა სწარმოებს.

თერგის ოლქის ხალხთა ყრილობამ ფრონტზე გაგზავნა დელეგაცია, რომ მებრძოლთა შორის დროებითი ზავი მომხდარიყო, მაგრამ დელეგაციამ ფრონტამდის ვერ მიაღწია: მატარებელი, რომლითაც დელეგაცია მიდიოდა ლიანდაგს გადასცდა. როგორც ამბობენ ეს მოაწყო ყაზახებმაო, რომელთაც ზავის ჩამოგდება არ სურთ.

## ფ ი ნ ე თ ი.

**ფინეთის პროტესტი.**

გელსინგფორსის პრესა ურმანში ინგლისელთა დესანტის გადმოსხმის გამო პროტესტს აცხადებს. პრესა უცხადებს, რომ ინგლისელთა მოქმედება ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონებს.

**ფინელ წითელ გვარდიელების ახალშენი.**

გელსინგფორში ნახეს ერთი საბუთი, რომელიც ამბობს რომ წითელ გვარდიელების აზრად აქვთ, რომ ფინეთის სამზღვართან დაარსონ წითელ გვარდიელთ ახალშენი. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ინგლისმა ამ კოლონიას დამოუკიდებლობა აღუთქვაო.

**ბრძოლა თეთრ გვარდიელებთან.**

გელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ გლომენკის რაიონში თეთრ გვარდიელები იძულებულ იქმნენ უკან დაიხიათ. სალმიარვთან თეთრ გვარდიელებმა დიდი ზარალი ნახეს.

## ი რ ლ ა ნ დ ი ა.

— ინგლისის გაზეთებში მოყვანილია ლიმერიკის (ირლანდიაში) ქალაქის დადგენილება, რომელშიც მოუწოდებენ ირლანდიელებს მთელის თავის ძალით წინააღუდგენ ბრძანებას ჯარში გაწვევის შესახებ. შემდეგ, ამ მოწოდებაში ნახსენებია, რომ უკეთუ ირლანდიელები მაინც გაწვეულ იქნებიან ჯარში, იმ შემთხვევაში უნდა ომობდენ არა ინგლისისთვის, არამედ ინგლისის წინააღმდეგ და უნდა ეცადოთ ზიანი მიაყენოთ ინგლისის საომარ ძალას, განსაკუთრებით შენახულ საომარ მასალათა განადგურებითო.

— მიღებული ცნობებით ინგლისის პარლამენტში ირლანდიის აჯანყების შესახებ ცხარე კამათის ჰქონდა ადგილი. ირლანდიის მეფის ყოფილმა მოადგილემ ვიბორნმა განაცხადა, რომ შემოღება ჯარში გაწვევის ვალდებულებისა და ყოველივე ზომები ამის ცხოვრებაში გატარებისათვის უნაყოფო გამოდგა. ამ ზომების განხორციელებასთან ერთად ინგლისის მთავრობა სცდილობდა გომრულის შემოღებასაც, მაგრამ ირლანდიელები უარყოფენ რა პირველს, არ ღებულობენ არც მეორეს.

## რ უ ს ე თ ი.

**ინგლისელებისა და ფრანგების დაპატიმრება.**

მოსკოვში დააპატიმრეს საფრანგეთისა და ინგლისის მოქალაქენი და აგრეთვე საფრანგეთისა და სერბეთის ოფიცრები, რომელთაც ბრალს სდებენ მურმანის უკანასკნელ ამბებში.

**დეპუტატების დაპატიმრება.**

სამხედრო კომისრის ტროცკის ბრძანებით დააპატიმრეს არხანგელსკის საბჭოს ის დეპუტატები, რომელთაც ინგლისელებისათვის არხანგელსკის დაჭერის დროს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და შიდა რუსეთისაკენ სამარცხვინოდ გარბოდენ.

**გაფიცვები.**

18 ივლისს ქარხნის საყვირის ხმასთან ერთად სად. ტულაში მოსკოვის და კურსკის რკინის გზის მუშებმა შესწყვიტა მუშაობა. წამოყენებულია პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნილებები. ასეთივე ხასიათის გაფიცვები დაიწყეს ნიჟნი—ნოვგოროდშიც.

---

ისტორიის შინაარსი, მარქსის აზრით, კლასთა ბრძოლაა: მას შემდეგ რაც კაცობრიობა არსებობს, არსებობს კლასთა ბრძოლა.

კარგი და პატიოსანი; მაგრამ რა მიზეზით, კლასთა ბრძოლა დამთავრდება სოციალიზმით: კლასთა ბრძოლა ყოფილა ისტორიაში ყოველთვის. რა მიზეზით შესწყდება იგი?—აი აქ ირღვევა მარქსის „რკინეული ლოგიკა," აქ მარქსიზმი მთლად ერთიანად ეყრდნობა რწმენაზე; მას ჯერა, რომ კლასთა ბრძოლა პროლეტარიზაციის პროცესით მიიყვანს კაცობრიობას სოციალიზმამდე; მაგრამ ნუ თუ არ შეიძლება, რომ პროლეტარიზაციის პროცესი შეჩერდეს და კლასთა ბრძოლამ მიიღოს მარადიული ხასიათი?—სტატისტიკა ამას უკვე გვიმტკიცებს, ევროპაში ამის მაგალითები ბევრია.

მასთან დარვინიზმის ძირითადი ბიოლოგიური პრინციპია ბრძოლა და არა ჰარმონია, ბუნების ძალთა ინდივიდუალიზაცია და არა თანასწორობა. ბუნება ხომ წინააღმდეგია თანასწორობის და სადაც აბსოლიუტური თანასწორობა დამყარდება, იქ ხომ ბრძოლა შეუძლებელია.

მარქსიზმი—ცხოვრების და ისტორიის დემოკრატიზაციაა.

დარვინიზმი წინაღმდეგია დემოკრატიზაციის და ბუნებაში ხედავს მხოლოდ ძალთა ინდივიდუალიზაციას. ბრძოლას ისტორიაში და ბუნებაში, და დარვინის აზრით აქვს მარადიული ხასიათი: ხალხთა შორის ბრძოლა, კლასთა შორის უთანხმოება, სახელმწიფოთა შეტაკება და დამარცხება—ყველაფერი ეს ბოლოს და ბოლოს ბრძოლაა არსებობისათვის, ჯგუფურ ანუ პირად კეთილდღეობისათვის.

მარქსი ამ ბრძოლას ხედავს წარსულში და აწმყოში, მხოლოდ მარქსი ფიქრობს რომ მომავალში ეს ბრძოლა ისტორიულად დამთავრდება ჰარმონიით, თანასწორობით და სოციალიზმით. ბუნებაში მცენარეთა და პირუტყვთა შორის ბრძოლა რათქმა უნდა იქნება, ინსტიქთა და სტიქიურ ძალთა შეტაკება ცხოვრებაში იარსებებს, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში მოხდება კლასთა ბრძოლის გარდაქმნა: სოციალიზმში კლასები არ იქნებიან და კლასთა ბრძოლა არ იქნება; მასთან პიროვნება ორგანიულად და ფსიხოლოგიურად შეუთანხმდება საზოგადოებას, სახელმწიფო ერთეულს.

დარვინი წინააღმდეგია ამის: როგორც ბუნებაში, პირუტყვთა და მცენარეთა შორის, ისე ისტორიაშიდაც იგი ხედავს ბრძოლას არსებობისათვის ბრძოლას, რომელსაც აქვს მარადიული ხასიათი.

ისტორიაში და საზოგადოებაში კლასთა უთანხმოება დარჩება ისე, როგორც ბუნებაში, ისე, საყოველთაოდ როგორც ცხოვრებაში: ბუნებას უყვარს მეჯლისობა და სისხლში ბანაობა, ბუნება უარჰყოფს მორალს, ჰქლავს პრინციპს, მიუხედავად წყევლა-კრულვისა და კაცობრიობის მორალურ და ფიზიკურ ტკივილების ბუნებაში მუდამ იქნება ირრაციონალობა და უსწორ-მასწორობა.

კაცობრიობას აბურძგნულ თმებზე სისხლი არასოდეს არ შეჰხმობია; ისტორიას წყევლა-კრულვის უკანასკნელი სიტყვა ჯერ არ უთქვამს და დარწმუნებული ვართ ვერც იტყვის ვერასოდეს: სოციალიზმი—კულტურის და ცივილიზაციის ფალსიფიკაციაა, სრული განთავისუფლება და თანასწორობა—ოცნებაა; საყოველთაო ბედნიერება—სიცრუეა: სისხლი, ბრძოლა, მარტოობა, განცალკევება, „უსამართლობა," სუსტთა დამარცხება და გამარჯვებულთა ტრაგიული სიმშვენიერე და არისტოკრატიზმი ისტორიის და ცხოვრების მარადიული ატრიბუტებია.

ილუზიების რომანტიული ცეკვა ისტორიაში მეტად მომხიბვლელია და ლამაზი, მაგრამ თვით ისტორია ბრძოლა-გლეჯვის არენაა და არა სამართლიანობის და წესრიგის სავანე: სრული სოლიდარობის და თანასწორობის განმტკიცებას ისტორიაში უარჰყოფს რჩეულთა ეგოიზმი.

არასოდეს კაცობრიობის წარსულში გულშემატკივრობას და თანაგრძნობას არ ჰქონია ადგილი, და სწორედ ამაშია ცხოვრების საშინელება—ადამიანის მორალისა და სინამდვილის შორის უთანხმოება: ერთი რომ საფლავში მიდის და ფერფლად იქცევა, მეორე ეროსის ცეცხლში იძირება, პირველყოფილ ძალთა სიგიჟის და ნეტარების მორევში ბანაობს; ერთი რომ სიყვარულის და ბედნიერების ბულბული უმღერს, მეორეს მაშინ ცხოვრების თავ შეუკავებელი და უხნეო დემონი ჯოჯოხეთისაკენ მიაქანებს; ერთი რომ სივრცეში მიმოფანტულ მნათობთა გუნდების ჰვრეტით სტკბება და უთვალავ ყვავილთა სუნთქვით ძღება, მეორეს მაშინ პირი ევსება ჭიებით და ბუჭყნებით.

წუთის სოფელი უსწორ-მასწორო და უთავბოლოა; ცხოვრება უსამართლო და უკანონოა. ისტორიის და ცხოვრების უკულმართობა რკინეულია: ვერავითარი მორალი ვერ შეცვლის წუთის სოფლის მარადიულ ბარბაროსობას. ვერასოდეს სუსტთა და ლატაკთა აპოლოგია ვერ დაამარცხებს რჩეულთა ცეცხლეულ ეგოიზმს და გამარჯვებულთა შემოქმედებას.

**ქ. კაპანელი—ჭანტურაია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლერის გამო დაიკეტა უკრაინის საზღვრები. ყველა მგზავრი, რომელიც რუსეთიდან მოდის ხუთი დღის განმავლობაში „კარანტინში“ იმყოფება.

# ახალი ამბავი

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ „სოციალისტებისაგან“ 11 აგვისტოს ქუთაისის ქალაქის ბაღში, საღამოს 6 საათზე დანიშნული იყო მიტინგი ერობის არჩევნების შესახებ. მიტინგი, რომ გაიხსნა უკვე 8 საათი იყო „ორატორები“ ერობის საკითხში დიდ ცოდნას და „ორიგინალობას“ იჩენდენ.

✦ **კომედია თუ ტერორი.** მიტინგზე გამოსულმა შოთა დადიანმა სხვათა შორის უკვე ცნობილ პროვოკაციის მტკიცებას მიყო ხელი. შოთა დადიანმა უდიერათ მოიხსენია მთელი ეროვნული დემოკრატიული პარტია და სთქვა, რომ ზემოხსენებული პარტია ბრძოლის ველზე არ უნახავთ.

ტრიბუნიდან ჩამოსულს შოთა დადიანს ქართველმა მეომარმა, ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრმა, ეროვნ.-დემოკრატ მეომართა უდიერათ მოხსენებისათვის პროტესტი განუცხადა და მის მოქცევას შესაფერი სახელი უწოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიმართვა იყო პირადული, დადიანმა მიმმართველს მოსთხოვა გაყოლოდა სადღაც. იგი მიიყვანეს სოციალ-ფედერალისტთა ბიუროში და იქ მყოფ გავაშელს მიმართეს შემდეგი სიტყვებით: Миша, ради бога, расправьтес (?!) с этим ჩვენ გვინდა ვიკითხოთ როდის შეავსეს შოთა დადიანით ჩ გავაშელით ჩვენი ქალაქის მილიცია და როდის მიაკუთვნეს მათ „ისპრავნიკის“ როლი?

✦ **ანარქიასთან ბრძოლა. ხრესილი.** (დეპეშა) გატყობინებთ, რომ არტილერიის ნაწილმა ბრძოლით დაიკავა ნაქერალას უღელტეხილი. მოწინააღმდეგე სასტიკათ დამარცხდა. ჩვენის მხრით ზარალი არ არის. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 20 კაცი. ჩვენმა მამაცმა ჯარმა მტერს დაატოვებია ერთი ზარბაზანი და 6 ყუმბარა. ჯარის კაცები ისე იბრძოდენ, როგორც ლომები. უღელტეხილს ვამაგრებთ. დაზვერის დროს ვახწევთ ცაგერამდე. ჩვენი არტილერია მოქმედებს ს. ორხივას, ქორეწინის და ჭყვიშის წინააღმდეგ.

✦ **ნატანების ყაჩაღების ამოჩენა.** ოზურგეთიდან იტყობინებიან: აღმოჩენილია ის ყაჩაღები, რომლებიც ამ დღეებში ფოსტას დაეცნენ; მიქაბერიძე გამოტყდა. დაასახელა მონაწილენიც; მეორე მიქაბერიძე მოკლეს, ყაჩაღმა ჭყონიამ თავი მოიკლა. ფულის ნაწილები თან აღმოაჩნდა. დაჭერილია ნატანების ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის გამგე ჭყონია და რამოდენიმე პირები. გრძელდება ძებნა დანარჩენებისა, რომელშიც დიდ დახმარებას იძლევიან ნოტანების მცხოვრებნი.

✦ **ხოლერის მსხვერპლნი.** გუშინწინ ხოლერით გადაიცვალა შემდეგი პირები: ფიჩხაძე, ეკატერინე ბოჭორიშვილი და გრიგოლ ხონელიძე. ავათ გახდა ხოლერით: გარდაფხაძე, ფერმის ქუჩაზე, ძოწონიძე ზოლიცკის ქუჩაზე.

✦ **ბათომის პარტიზან ლი პოლკი.** ბათომის პარტიზანული პოლკი ამ დღეებში მოემგზავრება ქუთაისის გუბერნიაში ანარქიასთან საბრძოლველათ.

✦ **გერმანელი ჯარის პარადი** კვირას 11 აგვისტოს ქალაქის ბაღში გაიმართა გერმანელი ჯარების პარადი. პარადს რუსულ ენაზე (!) მიესალმა გენერალი სუმბათაშვილი გერმანულად კი შუციშნაიდერი. პარადს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

✦ **კრება.** ოთხშაბათს, 14 აგვისტოს შუადღის 12 საათზე მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტის სადგომში შესდგება ხსენებული კომიტეტის კრება. კრებაზე განსახილველია სხვადასხვა მიმდინარე კითხვები.

✦ თესლის დამზადება. როგორც გადმოგვცეს, წელს ქუთაისში სამი უცხოელი ფირმა ამზადებს აბრეშუმის თესლს ორპირის ქუჩაზე და მესხეთის ქუჩაზე. ამ ფირმებთან მუშაობს 200-დი მუშა ქალი. მუშებმა ამ დღეებში წარუდგინეს ეკონომიური მოთხოვნილება ჯამაგირის მომატების შესახებ.

✦ **შრომის კომისარიატში.** ქ. ქუთაისის თვითმართველობის მოსამსახურეებსა და თვითმართველობას შორის ატეხილი უთანხმოება მორიგებით დათავრდა.

✦ **ტელეგრაფის საქმე.** დეპეში გუბერნიის კომისარს. თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებისა გატყობინებთ, რომ წინადადება მისცეთ ყველა თქვენს ხელქვეითებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ იმ რაზმს, რომელიც დანიშნულია ტელეგრაფის და ტელეფონის შესაკეთებლათ.

შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის გამგე ყაჩუხაშვილი.

✦ **ქალაქის სამკითხველო.** ქალაქის სამკითხველო საკრებულო ტაძრის პირდაპირ, რიჟინაშვილის შენობაში გადადის რადგან ის ბინა, სადაც მოთავსებული იყო სამკითხველო გადაეცა ქალაქის გამგეობასთან არსებულ სასურსათო განყოფილებას.

✦ **„აბლავა.“** გუშინ წინ ქალაქში მილიციელები ახდენდენ „აბლავას“ ამ ნიადაგზე მილიციის უფროსსა ოფიცრებსა და ჯარის კაცებს შორის უთანხმოება მოხდა. ეს „აბლავა“ გარნიზონის უფროსის განკარგულებლით ხდებოდა, მაგრამ ჯარისკაცები მაინც თავს შეურაცყოფილათ გრძნობდენ.

✦ **ხილის შემოტანის აკრძალვა.** გუშინ და გუშინწინ სოფლელებს სანიტარული რაზმას უფროსის განკარგულებით ქალაქში ხილ იარ შემოატანიეს. ვინაიდან ქალაქში ხოლერა მძვინვარებს და რამდენიმე იმსხვერპლა.

✦ **მკვდარი ძაღლები ქუჩებზე** ქუჩებზე მკვდარი ძაღლები ყრია. რის გამოც საშინელი სუნი სდის და ისედაც მოწამლული ჰაერი კიდევ უფრო იწამლება. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და დახოცილი ძაღლები საჩქაროთ აიკრიფოს ქუჩებიდან

✦ **ხოლერა.** წყალ-გაღმა უბანში ხოლერა მძვინვარებს, გუშინწინ მესხეთის ქუჩაზე გარდაიცვალა ხოლერით მოწაფე ხონელიძე.

# ქუთაისის თვითმართველობის საყურადღებოდ.

როგორც მოსალოდნელი იყო ხოლერამ განვითარება უკვე იწყო, რის მიზეზიც ქუთაისის ანტისანიტარული მდგომარეობა და თვითმართველობის უყურადღებობაა. ქალაქის საბჭოს კრებები ყოველ კვირაში იმართება, დადგენილების და გარდაწყვეტილების რეზოლუციის წერას ერთი მდივანი ვერ აუდის და ცხოვრებაში კი მათ გარდაწყვეტილების ძალა არ აქვს. არავითარი რეალური ნაბიჯი ჩვენს თვითმართველობას ჯერ არ გადაუდგამს. ყოველივე ასეთი ინდიფერენტული საქციელი ქალაქის აშენებაში და მოვლაში, შედეგია იმ არამცოდნე პიროვნებისაგან შემდგარ „კომისიებისა“ და მცირე, მისიებისა“ რომლის რიცხვი მრავალია. ყველაზე დიდი ბრალი და დანაშაულება მიუძღვის გამგეობას, მით რომ, უკანტროლოთ ატარებს „კომისიების“ გადაწყვეტილებას.

მაგალითად, წყლის სადუღებელი ქვაბები, რომელიც გაკეთდა 4-5 დღის წინათ, ცხელ წყალს განა ჰაერი გააჩენს? წყალი განა თვით ჩაიხსმება? ყველაფერი რომ მოწესრიგებული იყოს ამისათვის საჭიროა გამგეობის მხრივ სასტიკი კონტროლი. უნდა დააჩქარონ რომ მალე იქნეს გადადუღებული წყალი, მოისპოს გაყიდვა ნესვების, კიტრის, სხვა და სხვა აჭრელებულ „კანფეტების“, (რომელიც ქუჩებში იყიდება) ზეთში დამზადებულ „პონჩიკებს“ და უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მეფურნეების მიერ ჭადის გამოცხობას; ვინაიდან ისინი ხმარობენ ისეთ ზეთს რომელიც „ვიბრიონებით“ არის გავსებული და როგორც ასეთი სასტიკად აკრძალული უნდა იქნეს. ქუჩები უნდა დაიგავოს უსათუოდ ნაშუადამევს რომ დილით მცხოვრებთ შეეძლოსთ სუფთა ქუჩებში გავლა.

შეიძლება ფინანსიური მხარე არ უწყობდეს ხელს რომ ყოველივე ზემოთ [illegible] მოთვლილი სისრულეში იქნეს მოყვანილი.

ამ შემთხვევაში, აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია შემდეგი: დანიშნოს საბჭოს არაჩვეულებრივი კრება და განუმარტონ ქალაქის უმწეო მდგომარეობა ხოლერის გამო და თან მიუთითონ წყაროზე

როდესაც კაცობრიობას გაულეტა მოელის სიბინძურის გამო, არა მგონია, რომ ვინმემ ხუთი მანეთი დაიშუროს სიკვდილის ასაშორებლათ.

ამ შემთხვევაში ქუთაისის მცხოვრებლებზე განურჩევლათ მდგომარეობისა უნდა გაწერილ იქნეს ხუთი მანეთი ვინაიდან ქუთაისში 15 ათასი მოსახლეა სულ შემოვა 75 ათასი მანეთი, ეს ფული უნდა იქნეს აუცილებლათ შეგროვილი ხმოსნების მიერ ვინაიდან „მილიციონერებზე“ უფრო მცხოვრებლები ნდობით ხმოსნებს უცქერენ და მუშაობასაც სერიოზიული სახე მიეცემა. ამ ფულით უნდა იქნეს დაქირავებული ქუჩების მგველი მუშები. თითო მუშას ჯამაგირად შეიძლება მიეცეს 300 მანეთი. მათი რიცხვი უნდა იქნეს 100 მდის. მათი შენახვა ორი თვის განმავლობაში სულ დაჯდება 60,000 მანეთი და დანარჩენ 15 ათას მანეთიდან უნდა გაკეთდეს სადგურზე და მოედნებზე „დეზინფექტორები“. მატარებლის მოსვლის დროს უნდა [illegible]მაშხურონ „ვიბრიონების“ წინააღმდეგ საბრძოლველი წამალი.

ქუჩები აუცილებლათ ღამით უნდა სუფთავდებოდეს, წყალიც ღამე უნდა მზადდებოდეს; ერთი სიტყვით ქალაქი სუფთად უნდა იყოს.

ის 75 ათასი მანეთი ორ თვეს მაინც იკმარებს და შემდეგ არც ხოლერაა საშიში.

ყოველივე ზემოხსენებულს სასტიკ კონტროლს უნდა უკეთებდეს როგორც გამგეობის წევრები ისე პირადათ ქალაქის თავი. ეპიდემია განადგურებით გვემუქრება. საჭიროა საშუალება და ზომები. საქმე სიჩქარეს თხოულობს და იმედია რომ ყოველივე ზემოხსენებული. განსახორციელებლათ ზომები საჩქაროთ იქნება მიღებული.

ნიკო ახვლედიანი.

# საზოგადოების საყურადღებოდ.

სამართლიანობის დაცვის სურვილი მალაპარაკებს. მინდა საზოგადოებამ იცოდეს თუ როგორ ირღვევა სამართლიანობა და კანონიერება, არა მარტო შეუგნებელი მასის მიერ, არამედ იმათგანაც, რომელნიც თანამედროვე ცხოვრებას სათავეშიც უდგანან. ქუთაისში მიმდინარე წლის მაისში გაიხსნა დაჭრილთა კავშირის, „კაფე“. „კაფის“. მიზანს შეადგენდა: დახმარება გაეწია დასავლეთ საქართველოს დაჭრილებისათვის. დაჭრილებს სახელმწიფოსაგან დახმარება იმდენათ ცოტა აქვთ, რომ მათი არსებობა ყოვლად შეუძლებელია, საზოგადოების შეწუხება კი ყოველთვის დახმარებისათვის, უხერხულიც და მიზან მიუხწეველი არის. ამისთვის დასავლეთ საქართველოს დაჭრილთა კავშირმა საზოგადოების შემწეობით გახსნა „კაფე“. მომავალში, როდესაც „კაფეს“ საგრძნობი შემოსავალი ექნებოდა, კავშირს აზრათ ჰქონდა, გაეხსნა იაფ-ფასიანი სასადილო, კოოპერატიული დუქანი და სხვა სახელოსნოები. მიზანი ფრიად სიმპატიური იყო და ყველა მოქალაქის ვალდებულებას შეადგენდა, ასეთ ნორჩ საქმესათვის ხელი შეეწყო.

„კაფის“ გახსნისთანავე ქუთაისის პროფესიანალური კავშირის საშუალებით კაფესთვის იქნა დაქირავებული 9 მოსამსახურე ქალი (კელერშები) მათ პროცენტი ეძლეოდათ. პროცენტის რაოდენობა დღეში თითო მოსამსახურეზე 25—30 მან. [illegible] რომ „კაფეს“ თითქმის არავითარი მოგება არ რჩებოდა, [illegible] მოსავალი [illegible] და მოსამსახურეების ხარჯებს უნდებოდა, ამისთვის გადაწყვიტა მოსამსახურეები დაექირავებია თვიური ჯამაგირის ძლევით თითოს 150 მანეთი. ასეთი დადგენილება გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ჩიჯინაშვილმა მოსამსახურეებს კიდეც გამოუცხადა.

მოსამსახურეებმა ეს წინადადება არ მიიღეს და იმავე წუთში კაფე დასტოვეს. კაფის გამგეობის და მუშათა კავშირის მოლაპარაკების შედეგი ის იყო, რომ მოსამსახურე ქალები დარჩებოდენ კაფეში 11 ივლისამდი იმ პირობით რა პირობითაც იყვენ დაქირავებული, ე. ი. პროცენტებით.

11 ივნისს უნდა მომხდარიყო დაჭრილთა კრება. ამ კრებას სხვა საკითხებთა შორის უნდა გადაეწყვიტა თუ როგორ მოქცეულიყო გამგეობა. კრებამ გადასწყვიტა, რომ კაფეში მოსამსახურეებათ პირველ რიგში დაჭრილთა ოჯახების წევრები დაექირავებიათ და თუ ამათი რიცხვი საკმარისი არ იქნებოდა, იმ შემთხვევაში გარეშე პირებისათვისაც მიემართათ; თვეში კი თითო მოსამსახურეს 150 მანეთი გადაუწყვიტეს. ამ პირობებზე მოსამსახურეებმა უარი განაცხადეს და მუშათა კავშირს მათი ინტერესების დაცვა შრომის მინისტრისთვის მიუმართავს. ამ უკანასკნელს კი, რომელიც ჩემის აზრით კავშირის მიერ შეცდომაში შეყვანილი გამოუტანია დადგენილება რომლის ძალითაც „კაფეს“ გამგეობამ მოსამსახურეების სასარგებლოთ 3,900 მანეთი უნდა გადაიხადოს.

საქართველოს შვილნი, რომელნიც იარაღით ხელში სამშობლოს იცავენ გარეშე თუ შინაგან მტრისგან, დარწმუნებული უნდა იყვნენ რომ სახელმწიფო და საზოგადოება მათ უნუგეშოთ არ დასტოვებს, თუ კი ისინი სამშობლოს დაცვისათვის დასახიჩრდა და შრომის უნარი დაკარგა. საჭიროა ჩვენი ყველა მეომარი ამ იმედით იყოს გამსჭვალული და ჩვენ ყოველივე ღონეს უნდა ვხმარობდეთ რომ ეს იმედი გაცრუებული არ დარჩეს.

ქუთაისის დაჭრილთა კავშირს კი ასე არ ეპყრობიან. მას ვალდებულად ხდიან რომ მან 3,900 მანეთი გადაიხადოს, ყოფილ მოსამსახურეების სასარგებლოთ და ამით ვინ იცის რამდენ ადამიანს ვართმევთ ლუკმა პურს. ნუ თუ ეს კანონიერებაა, რომ მოსამსახურეებმა ერთი თვის სამსახურისათვის რამოდენიმე თვის სასყიდელი მიიღოს, როდესაც ნამსახური სრულიათ აქვს მიღებული?!

როდესაც ჩვენ ვიბრძვით და სისხლს ვღვრით, მუშათა კავშირი არ უნდა გამოსარჩლებოდა მოსამსახურეებს და მასთან შრომის მინისტრს არ უნდა გამოეტანა ისეთი განჩინება რომლის ძალით იძარცვება ისეთი დაწესებულება, როგორიც არის დაჭრილების კავშირის „კაფე“. განა ეს სამართლიანობა და კანონიერება არის?!

საინტერესო არის, რომელი დემოკრატიული პრინციპი ავალებს მუშათა კავშირს, ასეთ გამოსარჩლებას და თუ ასეთ გამოსარჩლებას გასავალი აქვს, ჩვენ დაჭრილები დიდ სიამოვნებით ჩავეწერებით ამ ბედნიერ კავშირში.

ქუთაისელი ცალ-ფეხ.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

საჭიროა „ნატურშიცა“
მოდელისთვის. პირობები და სურათი გაგზავნილ უნდა იქნეს „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში მხატვარ სანელისთვის.
5—5

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.